განმარტებითი ბარათი

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში საჭიროა მოხდეს შემდეგი სახის ცვლილება.

1) გაიზარდოს როგორ შემოსულობები, ასევე გადასახდელები 2 269 286 ლარით, კერძოდ:

ა)„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის N1212 განკარგულების (ძირი განკარგულება 31 დეკემბერი 2024 წლის N1955) შესაბამისად გადასახდელებში შემცირდეს 11 165 ლარით შემდეგი სამუშოები: სოფელ გომში გზის რეაბილიტაცია (ბეტონის საფარი) მე-2 ეტაპი 3 781 ლარით, სოფელ უწერაში საკანალიზაციო სისტემის დასრულების სამუშაოები 677 ლარით, ქ.ონში აგრალური ბაზრის III ეტაპის სამუშოები 6 707 ლარით, სულ 1 971 589 ლარი დაიგეგმოს შემდეგი სამუშოები ონის მუნიციპალიტეტის სოფლების: საკაო, ლაგვანთა, მაჟიეთსა და ხიდეშლებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ასფალტო-ბეტონის საფარი) 693 090 ლარი, სოფელ ცხმორში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა 171 000 ლარი, სოფელ ცხმორში ახალი შიდა სასოფლო გზის მოწყობა (გრუნტის საფარი) 47 500 ლარი, ბეერ-შევას პარკში არსებული სპორტული კომპლექსის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები 300 000 ლარი, ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალსადენი სისტემების რეაბილიტაცია 155 406 ლარი, ქ.ონში არსებული საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა 55 213 ლარი, სოფელ უწერაში ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვა 47 500 ლარი, სოფელ ონჭევის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (მყარი საფარი) 201 830 ლარი, ქ.ონში ჩიხების ასფალტირება 170 050 ლარი, სოფელ შეუბნის გზის რეაბილიტაცია (მყარი საფარი) 80 000 ლარი, სოფელ გლოლის ბაღის რეაბილიტაცია 50 000 ლარი.

ბ) „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის N1207 განკარგულების შესაბამისად დაიგეგმოს 138 597 ლარი.

გ) ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის N1098 განკარგულების შესაბამისად დაიგეგმოს 147 935 ლარი საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე შემდეგ სკოლებში სოფელ გლოლის საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე 48 984 ლარი, სოფელ ღარის საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე 38 828 ლარი, სოფელ უწერის საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე 60 123 ლარი.

2) შემცირებული იქნას ტენდერებიდან დარჩენილი ეკონომიებით შემდეგი სამუშაოები: ერთი ერთეული მსუბუქი მუხლუხა ბულდოზერის (ნიუჰოლანდი) შეძენა 54 500 ლარი, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის მომსახურება 10 050 ლარი, საჭიდაო დარბაზის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაო 3 666 ლარი, სპორტ დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია ბეერ-შევას სკვერში 5 995 ლარი, სოფელ მაჟიეთში ბიბლიოთეკის რეაბილიტაციის თანამონაწილეობია 5 470 ლარი, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება შემცირდეს 20 000 ლარით, სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში მოქალაქეთა ჩართულობის თანამონაწილების თანხა 19 000 ლარით.

სულ გასაწერი თანხა 118 681 ლარი დაიგეგმოს: ა) წილობრივი თანამონაწილეობით ონის მუნიციპალიტეტის სოფლების: საკაო, ლაგვანთა, მაჟიეთსა და ხიდეშლებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ასფალტო-ბეტონის საფარი) 36 391 ლარი, ბ) სოფელ ცხმორში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა 9 000 ლარი, გ) სოფელ ცხმორში ახალი შიდა სასოფლო გზის მოწყობა (გრუნტის საფარი) 2 500 ლარი, დ) ბეერ-შევას პარკში არსებული

სპორტული კომპლექსის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები 15 789 ლარი, ე) ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალსადენი სისტემების რეაბილიტაცია 8 179 ლარი, ვ) ქ.ონში არსებული საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა 2 906 ლარი, ზ) სოფელ უწერაში ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვა 2 500 ლარი, თ) სოფელ ონჭევის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (მყარი საფარი) 10 623 ლარი, ი) ქ. ონში ჩიხების ასფალტირება 8 950 ლარი, კ) სოფელ შეუბნის გზის რეაბილიტაცია (მყარი საფარი) 4 211 ლარი, ლ) სოფელ გლოლის ბაღის რეაბილიტაცია 2 632 ლარი და გაიზარდოს მ) ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საჭიდაო სკოლის დაფინანსება 10 000 ლარი, ნ) ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის დაფინანსება 5 000 ლარი.

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 26 491 949 ლარი.

პროექტი შეადგინა: თ. ბროლაშვილი

შემსრულებელი: ნ. მეტრეველი